

სკოლა \_\_\_\_\_ კლასი \_\_\_\_\_

სახელი \_\_\_\_\_ გვარი \_\_\_\_\_

ტელეფონი \_\_\_\_\_

### **ამოცანა 1: სააქტო დარბაზში**

სკოლის სააქტო დარბაზში აპირებენ სკამების დაწყობას რიგებად. თუ რიგში 12 სკამს დააწყობენ, ბოლო რიგს დააკლდება 5 სკამი. თუ სკამებს 15 რიგად დააწყობენ, მას შემდეგ, რაც რამდენიმე რიგი შეივსება, დარჩება 7 სკამი.

იანგარიშეთ სულ სკამების რაოდენობა, თუ ვიცით, რომ ეს რაოდენობა 400-ზე მეტია და 450-ზე ნაკლები (პასუხი დაასაბუთეთ).

## **ამოცანა 2: კონცერტზე**

ოთხი გოგონამ – ქეთიმ, ლიკამ, მარიმ და ნინომ კონცერტი ჩაატარეს. კონცერტზე გოგონებმა შეასრულეს სიმღერები. ყოველ სიმღერას მღეროდა სამი გოგონა, ხოლო მეოთხე იმ დროს ისვენებდა. ქეთიმ მონაწილეობა მიიღო ყველაზე მეტ სიმღერაში, მან სულ 8 სიმღერა იმღერა. ყველაზე მეტჯერ ლიკამ დაისვენა, მან მხოლოდ 5 სიმღერა იმღერა.

სულ რამდენი სიმღერა იმღერეს გოგონებმა კონცერტზე? (პასუხი დაასაბუთეთ).

## **ამოცანა 3: სარეცხის ფხვნილი**

გვაქვს სამი ჭურჭელი, რომლებშიც ყრია სარეცხის ფხვნილი. ერთ-ერთ ჭურჭელში შეიძლება ეყაროს მოძველებული ფხვნილი, რომელსაც ძალიან ცუდი თვისება აქვს – საკმარისია სარეცხში მოხვდეს მისი უმცირესი დოზა და გარეცხილი თეთრეული ბუსტად ორი დღის შემდეგ ისე აყროლდება, რომ გადასაგდები ხდება.

გვინდა, რომ რაც შეიძლება მოკლე ვადაში დავადგინოთ, ნამდვილად არის თუ არა რომელიმე ჭურჭელში მოძველებული ფხვნილი და თუ არის – რომელში. საცდელად გვაქვს ორი ცალი ბენარი. რამდენი დღე დაგვჭირდება დასადგენად? როგორ უნდა მოვიქცეთ?

#### **ამოცანა 4: ველოსიპედისტები**

ველოსიპედისტი გამოვიდა თბილისიდან და მიდის ქუთაისისკენ საათში 10 კმ/სთ სიჩქარით. მეორე ველოსიპედისტი გამოვიდა მის შესახვედრად ქუთაისიდან და ის მოძრაობს 12 კმ/სთ სიჩქარით.

რა მანძილი იქნება ამ ველოსიპედისტებს შორის შეხვედრამდე 3 საათით ადრე? (პასუხი დაასაბუთეთ).

## **ამოცანა 5: რიცხვები დაფაზე**

დაფაზე ეწერა 120 ცალი ერთიანის ჯამი:  $1+1+1+\dots+1$ . მივიდა გია და ყოველ მესამე ერთიანს ნიშანი საწინააღმდეგოთი შეუცვალა. ამის შემდეგ მივიდა გელა და ყოველ მეოთხე ერთიანს ნიშანი საწინააღმდეგოთი შეუცვალა. ამის შემდეგ მივიდა კახა და ყოველ მეხუთე ერთიანს ნიშანი საწინააღმდეგოთი შეუცვალა. შეგახსენებთ, რომ პლიუსის საწინააღმდეგო ნიშანი არის მინუსი, ხოლო მინუსისა – პლიუსი.

ამის შემდეგ მივიდა აჩიკო და იანგარიშა დაფაზე დანერვილი არითმეტიკული გამოსახულების მნიშვნელობა.

რა რიცხვი მიიღო აჩიკომ? (პასუხი დაასაბუთეთ).